

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

***2424**

იხილეთ ჩანართი



**დმიტრი მედვედევი
ადოლფ ჰიტლარის
ტრადიციას
აბრძობას**

A2



ბაზრძობაბა A3 ბვირძობა

**დიკ ჩინი კონგრესს
ცენტრალური
სადაზვიარკო
სამმართველოს
ბაბმეხს უმაღავდა**

A4



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ნაბიჭი დამოუკიდებლობისკენ

დმიტრი ავალიანი

"ნაბუკოს" პროექტის დაწყება ოფიციალურად გაფორმდა. ალტერნატიული ვაზსადენი, რომელიც ევროპას გაზით საქართველოს გავლით მოამარაგებს, რუსეთის ენერგეტიკული და პოლიტიკური გავლენის შესუსტების და რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის წინაპირობა გახდება. რუსეთის მარცხი და საქართველოს მჭიდროდ დაახლოება ევროპასთან - ასე შეაფასეს ექსპერტებმა ანკარის გუშინდელი სამიტის შედეგები.

თურქეთის, ავსტრიის, უნგრეთის მთავრობების მეთაურობა და ბულგარეთისა და რუმინეთის ენერგეტიკის მინისტრებმა გუშინ ანკარაში ხელი მოაწერეს მთავრობათაშორის ხელშეკრულებას "ნაბუკოს" პროექტის განხორციელების შესახებ. დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონია 30-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია.



AFP - 2009

ქართველები პრაღაში

იციან თუ არა არტისტებმა ხატვა?

სოფო კილასონია

სანამ შემოდგომა დადგება და ამჯერად ახალი მინის, ლიონის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის ათვისებას დაგინებთ, მანამდე სხვა ამ ტიპის მოვლენაზე უნდა მოგწეროთ. ეს პრაღის ბიენალეა! 2009 წელს ის მეოთხედ გაიხსნა. ჩვენ ამ ბიენალეზე არ ვიმყოფებოდით, ამიტომაც რეპორტაჟმა იქამდე დაიგვიანა, სანამ ჩვენამდე ბიენალეს კატალოგმა არ მოაღწია და სანამ მისი ერთ-ერთი პერსონაჟი - გიორგი კველიშვილი, იგივე Kevle არ მოხვდა ჩვენი ყურადღების ცენტრში...

პრაღაში თანამედროვე მხატვრობის მასშტაბური გამოფენა - პრაღის მეოთხე ბიენალე მიმდინარეობს და ამ თვის ბოლომდე გასტანს. ამ ბიენალემ უკვე დაიმკვიდრა თავი ცენტრალური ევროპის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად. ბიენალე 2003 წელს დაარსდა და ფერწერის თანამედროვე ტენდენციების გამოუქებაზეა კონცენტრირებული. მისი წლებიდანველი კონცეფცია - გაფართოებული ფერწერა - მიზნად ისახავს ფერწერის როლის და ადგილის ახლებურ გააზრებას და ახალი მიმართულებების გამოვლენას.

ბაზრძობაბა A6 ბვირძობა



ტრაგედია ნაქერალას უღელტეხილთან

გუშინ ტყიბულთან, ნაქერალას უღელტეხილზე ტრაგედია მოხდა. ხევში გადაიჩნეხა ავტობუსი, რომელსაც პატრიოტთა ბანაკის წევრები გადაჰყავდა. 13 ივლისის საღამოს მონაცემებით, დაიღუპა ორი ბავშვი, ოთხი მოზარდის მდგომარეობა მძიმეა, არიან დაშავებულები. მამყელებმა დაღუპულები და დაშავებულები 40 მეტრის სიღრმის ხევიდან ამოიყვანეს.

დაზარალებულებს თავდაპირველად დახმარება ტყიბულის რაიონულ საავადმყოფოში აღმოუჩინეს, ხოლო შემდეგ ქუთაისში გადაიყვანეს.

ავტობუსის ხევში გადავარდნის მიზეზი გუშინ უცნობი იყო. პატრიოტთა ბანაკის მეორე ავტობუსში მსხდომი ბავშვების განცხადებით, მათ დინახეს, რომ აღმართზე მიმავალ ავტობუსს საწინააღმდეგო მხრიდან დიდი სატვირთო ავტომობილი შემოხვდა, რის გამოც ავტობუსს სავალი გზა არ ეყო და ხევში გადაიჩნეხა. გუშინ, 13 ივლისს, აღმოსავლეთ საქართველოდან პატრიოტთა ბანაკის ორი ავტობუსი გაემგზავრა. ბავშვები დასასვენებლად შორში გადაჰყავდათ. **საკუთარი ინფორმაცია**

სხეფერი: რუსები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას აგრძელებენ

ნატო-ს გენერალური მდივანი იაბ დე ჰოოპ სხეფერი ესტონური გაზეთისთვის "Postimees"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ რუსეთმა დაარღვია და ახლაც აგრძელებს საქარველოს ტეროტორიული მთლიანობის დარღვევას. სხეფერი აღნიშნავს, რომ საქართველოს შესახებ ნატო მომავალშიც გააგრძელებს რუსეთთან საუბარს და მასთან პრინციპულად შეუთანხმებელი საკითხების განხილვას.

"საქართველოში შეჭრა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, იქ რუსეთის ფედერაციის ბაზების შექმნა - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილებია, ასე რომ რუსებმა დაარღვიეს და ახლაც აგრძელებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევას. ეს პრინციპი ნატო-სათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომლის უგულვებელყოფა მიუღებელია," - აცხადებს სხეფერი.

სხეფერი ასევე აღნიშნავს, რომ ნატო-სა და რუსეთს ერთმანეთს გარეშე მაინც არ შეუძლიათ, მიუხედავად უთანხმოებებისა.

"ყოველთვის ვამბობდი, რომ ნატო-ს რუსეთის გარეშე არ შეუძლია, ისევე როგორც რუსეთს ნატო-ს გარეშე, როგორც ცუდი ისე კარგი დროს. რუსეთსა და ნატო-ს შორის ურთიერთობები კვლავ უმჯობესდება. რუსეთ-ნატოს საბჭოს პოლიტიკური შეხვედრის დროს მიღებულია გადწყვეტილება შეწყვეტილი ურთიერთობების განახლებისა - ჩვენ სათანამშრომლო საკითხების გრძელი სია გვაქვს. ასევე გაგრძელება რუსეთთან საქართველოს თემის განხილვა, სადაც ჩვენ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს," - აცხადებს სხეფერი. **ჯი-იჩი-ენი**

თემურ იაკობაშვილი: ომის განახლება ნაკლებ სავარაუდოა

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებით, რუსეთის მხრიდან პროვოკაციები იქნება, მაგრამ ომის განახლება ნაკლებ სავარაუდოა.

"დასამძიმო არ არის, რომ რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით ომისთვის ემზადება. მაგრამ ეს პოლიტიკური კუთხით ნაკლებ სავარაუდოა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ომის თემზე საუბრობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ასეთივე საუბრები შარშან ამ დროს რომ ყოფილიყო, აგვისტოში ომი არ იქნებოდა," - განუცხადა იაკობაშვილმა ჟურნალისტებს რუსი ჟურნალისტის ლატინინას განცხადების კომენტარებისას, რომლის თქმითაც, იალბუზზე რუსეთის საჯარისო ნაწილების წვრთნები მიმდინარეობს.

რაც შეეხება პროვოკაციას, სახელმწიფო მინისტრი რუსეთის მხრიდან "ძალიან ბევრ პროვოკაციას" პროგნოზირებს, თუმცა აქვე ამტკიცებს, რომ ქართული მხარე მას არ ნამოეგება.

"რუსეთი ასე ადვილად არ შეგვეშვება, აქედან გამომდინარე, პროვოკაციებს არა თუ გამოვრიცხავ, დაზუსტებით შემიძლია ვითხრათ, რომ ძალიან ბევრი იქნება, თუმცა ჩვენ მათზე ნამოეგებას არ ვაპირებთ," - დასძინა იაკობაშვილმა. **ჯი-იჩი-ენი**

ალსანინის პარტიის პრეზენტაცია კვირის ბოლოსთვის გაიმართება

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური პარტიის "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიების" პრეზენტაცია კვირის ბოლოსთვის გაიმართება. "ალიანსი საქართველოსთვის" ერთ-ერთ ლიდერ ზურაბ აბაშიძის განცხადებით, პარტიის პრეზენტაციის ზუსტი თარიღი საზოგადოებისთვის უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

როგორც აბაშიძემ განაცხადა, ეს არ იქნება ფართომასშტაბიანი პრეზენტაცია და მხოლოდ პარტიის რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების გავლას ითვალისწინებს. აბაშიძის განცხადებით, პრეზენტაციაზე გამოცხადდება პარტიის ძირითადი მიმართულებები, პლატფორმა და ხედვები. "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიების" წარდგენისას, სავარაუდოდ, მისი სამომავლო გეგმებიც გამოცხადდება. **პირველი**

ფორმალური პრეზიდენტი არარსებულ ქვეყანაში

რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი გუშინ სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს ეწვია. ცხინვალში მყოფმა მედვედევმა 2008 წლის აგვისტოში დაბომბილი საცხოვრებელი სახლები მოინახულა. მედვედევის ვიზიტის გამო ქართული მხარე საპროტესტო ნოტას რუსეთის შვეიცარიის საელჩოს მემწეობით გადასცემს.

ნათია მსხილაძე

ცხინვალში ჩასულ რუსეთის პრეზიდენტს რამდენიმე ასეული ადამიანი ტაშითა და ოვაციებით შეეგება. "მადლობა რუსეთს, ჩვენ გაეპართლებთ თქვენს იმედებს," - სკანდირებდნენ მარიონეტი პრეზიდენტის ე.წ. ადმინისტრაციის შენობის წინ შეკრებილები.

მედვედევმა ცხინვალის ქუჩებში ჩაიარა და 1992 წელს მომხდარი კონფლიქტის დროს დაღუპულთა მემორიალთან ყვავილებიც მიიტანა.

მედვედევი კოკოთის დაჰპირდა, რომ რუსეთის ფედერაცია რამდენიმე პროექტს განახორციელებს და თავდაცვის სფეროშიც ითანამშრომლებს.

"მოხარულნი ვართ, რომ თქვენ აქ ჩამობრძანდით. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა მადლობას გიხდით ყველაფრისთვის და ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ზეიმია," - განაცხადა კოკოთმა მისალმებისას.

"მადლობა თქვენ იმისთვის, რომ ახალი რესპუბლიკის - სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა მადლობას გიხდით ყველაფრისთვის. დღეს ჩვენს რესპუბლიკა ხომ დიდი სიძნელებებისა და სირთულეების გადალახვის შედეგად წარმოიქმნა და მას რუსეთმა დრამატული მოვლენების დროს

დაუჭირა მხარი. მივიჩნევ, რომ სამხრეთ ოსეთში დღევანდელი მოკლევადიანი ვიზიტი საფუძველს ჩაუყარავს ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობების გამყარებას," - განაცხადა დმიტრი მედვედევმა ცხინვალში. მისივე თქმით, რუსეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთს არა მხოლოდ დიდებული წარსული, არამედ უკვე ძალიან მყარი სამართლებრივი ნორმატიული ბაზა აქვთ ურთიერთობებისთვის. **"ჩვენ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის აღდგენის მთელი რიგი პროექტები გავგანხივ. მაჩვენეთ, რა არის გასაკეთებელი და რა არის პირველადი აუცილებლობა,"** - აცხადებს მედვედევი.

სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა, ოს სეპარატისტთა ლიდერთან ერთად, ცხინვალში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზაც მოინახულა. ვიზიტის დროს დმიტრი მედვედევს თან ახლდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიაკოვი. ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა სერგეი მაკაროვმა პრეზიდენტს რუსეთის N4 სამხედრო ბაზაზე არსებული მდგომარეობა და საქმის ვითარება გააცნო. ბაზა, რომელიც ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის შემადგენლობაში შედის, დისლოცირებულია როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთში მდებარე სამხედრო ქალაქში, თუმცა მისი შტაბი ცხინვალშია განლაგებული.

დმიტრი მედვედევი ადოლფ ჰიტლერის ტრადიციას აბრძობს

რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევის გუშინდელ ვიზიტს ცხინვალში პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დეპუტატების მხრიდან მეტად მწვავე რეაქცია მოჰყვა. გოკა გაბაშვილი კოლეგებს შეახსენებს, რომ დაპყრობილი მიწების მონახულების წესი ადოლფ ჰიტლერმა დაწერა და დღეს ამ ტრადიციას რუსეთის ხელმძღვანელი "ღირსუფლად" ავრძელებს. თავის მხრივ, პაატა დავითაია იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მედვედევმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ოფიციალური თბილისის ნებართვის გარეშე გადმოკვეთა, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა. "ეს აგვისტოს ომის დროს პუტინსაც კი არ გაუკეთებია, რომელიც სამხედრო ოპერაციას ვლადიკავკასიიდან ხელმძღვანელობდა," - აღშფოთებას ვერ მალავს დავითაია. იგი კატეგორიულად ითხოვს, რომ სავარეო საქმეთა სამინისტრო მომხდარზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენების მიზნით, სპეციალური განცხადების მიღებას რიგგარეშე სესიაზე თავად საკანონმდებლო ორგანოც აპირებს.

ბიორბი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს შემთხვევითობად არ მიაჩნია რუსეთის პრეზიდენტის ცხინვალში ჩასვლა სწორედ იმ დროს, როდესაც ვეროპის ლიდერები თურქეთში "ნაბუკოს" პროექტს ანერდნენ ხელს.

"ეს არის კრემლის რეაქცია იმ მარცხზე, რომელიც მან "ნაბუკოს" წინააღმდეგ განიცადა. ეს არის რეაქცია იმ მარცხზე, როდესაც ბარაკ ობამამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი დაადასტურა. ის, რომ ამერიკის პრეზიდენტს კრემლში სიტყვის შებრუნება ვერ გაუხედვს და რამდენიმე დღის შემდეგ მედვედევი ცხინვალში ჩავიდა, რუსეთის სისუსტის გამოხატულებაა. ამასთან, ეს ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ სამწუხარო რეალობას, რომ რუსეთის მიზანი

დარეველირება შეიძლება. მტერს გაძლება და გამკლავება უნდა," - აღნიშნავს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენელთა შეფასებებს საპარლამენტო უმცირესობის წევრებიც იზიარებენ. ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძის თქმით, თუ აქამდე რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული ჰქონდა, ცხინვალში მედვედევის ვიზიტით ამ ტერიტორიების ღია და დაუფარავი ანექსია დაიწყო.

ამასთან, ლევან ვეფხვაძე საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთ ლიდერს იმაში ადანაშაულებს, რომ ისინი თავიანთი განცხადებებით ოფიციალურ მოსკოვს აღიზიანებენ და რუსეთს ახალი პროვოკაციული ნაბიჯებისკენ უბიძგებენ.

"ჩვენი ხელისუფლება ზოგჯერ სიტუაციას არაადეკვატურად აფასებს. მის წარმომადგენლებს ობამა-მედვედევის შეხვედრის შემდეგ ზედმეტი მოლოდინი და სიმეომრეობა გაუჩნდათ. მათმა განცხადებებმა კი კრემლზე ისე იმოქმედა, როგორც ხარზე ნითელმა წაჭერმა," - აცხადებს ვეფხვაძე.

თუმცა, მის კრიტიკას საპარლამენტო უმრავლესობაში არ იზიარებენ.

"არა მგონია, მედვედევი იმითმ ჩავიდა ცხინვალში, რომ კულაშვილის ან მინაშვილის განცხადებებმა გააღიზიანა," - თანაგუნდელების "ბრალეულობას" გამოიტყვას დავით ბაქრაძე.

სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლებს ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საყვედურის მოსმე-

რუსეთს შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით გადასცემს. საქართველო იმედს ამყარებს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაზე და აცხადებს, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მთლიანად კავკასიის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციის თავიდან აცილებას მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის პრინციპული პოზიცია გახდის შესაძლებელს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პირველი პირის ცხინვალში ჩასვლას თურქეთიდან ეხმიანება და ამას "რუსეთის დიპლომატიურ ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო და ამორალურ პრეცედენტად" აფასებს. "ის, რაც დღეს მოხდა, შევა რუსეთის დიპლომატიურ ისტორიაში, როგორც საუკუნეების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და ამორალური პრეცედენტი. სამარცხვინო იმიტომ, რომ მაშინ, როცა პატარა საქართველოს ლიდერი გასულია ქვეყნიდან და წყვეტს ძალიან მნიშვნელოვან, გლობალურ საკითხებს, ამხელა რუსეთის პრეზიდენტი ჩუმად ჩამოიპარა ჩვენს ყველაზე პატარა რეგიონში და პირადად ეახლა დაუპირანულ, კაცის მკვლელ, კორუმპირებულ კრიმინალს; ამორალურია იმიტომ, რომ ცხინვალში ჩასვლამდე რუსეთის პრეზიდენტმა ალბათ გაიარა იმ გზაზე, სადაც ახლა ეთნიკური ოსებისა და ქართველების ნასახლარები დგას, რომლებიც შარშან, პუტინის ავანტიურის შედეგად, ბულღურებმა მიწასთან გაასწორეს," - განაცხადა თურქეთში მყოფმა სააკაშვილმა.

სამინისტროს პოზიციით, მედვედევის ვიზიტი ცხინვალის რეგიონში წარმოადგენს რუსეთის მიერ საერთაშორისო საზოგადოებრობის აშკარა გამოწვევას და კიდევ ერთ დადასტურებას იმისა, რომ რუსეთი არაფრად ავდებს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს და საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებულ ცივილიზებული ქცევის წესებს.

საქართველოს სავარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს პროტესტს და საპროტესტო ნოტას

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: გიგუშა ფარუშაშვილი, პაატა მუხამაძე.
რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავეიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რეჟიუ), ანა ფარუშაშვილი (სპორტი). **რედაქციაში და მარკაშინის მენეჯერი** ირაკლი ლეკავა ტელ: 899 22 09 49. **მომხმობარული** (მენეჯერი), ირაკლი ჯიბუაშვილი, დიმიტრი შალუვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი **რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკლის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ნაბიჭი დამოუკიდებლობისკენ

პირველი გვერდიდან

ცერემონიაში ასევე მონაწილეობდნენ ევრაზიაში ენერგეტიკულ საკითხებში აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი რიჩარდ მორნიგსტარი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთუ ბრაიზა და ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისიის ანდრის პიეზალგა.

პროექტის საერთო ღირებულება 8 მილიარდ ევროს შეადგენს. გაზსადენი აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიაზე გაივლის და ევროპას ყოველწლიურად 26-დან 32 მილიარდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივ აირს მიანვლის. გაზსადენის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2011 წელს დაიწყება. ანკარა ბოლო დრომდე მოითხოვდა, რომ ტრანსპორტირებული გაზის 15 პროცენტის მას დარჩენოდა. შეთანხმების გაფორმება ამის გამო ვერ ხერხდებოდა, თუმცა საბოლოოდ თურქეთმა საკუთარი მოთხოვნა მოხსნა. "ნაბუკოსთვის" გაზის მიწოდებულბადა თურქმენეთი, უზბეკეთი, ირანი და ერაყი სახელდებიან.

"დარწმუნებული ვარ, პროექტი ხელს შეუწყობს არ მარტო მისი მონაწილე ქვეყნების დაახლოებას, არამედ რეგიონის უსაფრთხოებას და აყვავებას. ბევრი ამბობდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა სიზმარი იყო, მაგრამ მილსადენი უკვე აქტიურად მუშაობს," - განაცხადა სამიტის გახსნაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. მისი თქმით, "ნაბუკოს" პროექტში ჩართვა შეუძლიათ სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის რუსეთს. **"ეს ხელს შეუწყობს რეგიონის აყვავებას,"** - განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამიტზე სიტყვით გამოისვლისას "ნაბუკოს" სტრატეგიული და პოლიტიკური პროექტი უწიოდა,

რომელიც მნიშვნელოვანია როგორც რეგიონისთვის, ასევე ევროპული ენერგოუსაფრთხოებისთვის.

"ასეთი მასშტაბის პროექტი რეგიონში ჯერ არ განხორციელებულა. ეს ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი და წინგადადგმული ნაბიჯია. ახლა მიდის ბრძოლა კასპიური ბუნებრივი გაზისთვის. ეს არის ბრძოლა ყაზახეთსა და თურქმენეთში არსებული ძალიან დიდი მარაგებისთვის. ჩვენ გვმართებს ყველა ფაქტორის გათვალისწინება. ჩვენი აქ გამოსვლა ადასტურებს, რომ სოლიდარულნი ვართ და არა მხოლოდ სიტყვებში," - აღნიშნა სააკაშვილმა.

საკაშვილის განცხადებით, "ნაბუკოს" პროექტის რეალიზაცია საქართველოს წინააღმდეგ რუსულმა აგრესიამ და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებულმა "გაზის ომმა" დააჩქარა.

როგორც სამიტზე ევროკომისიის თავმჯდომარე შოზე მანუელ ბაროზუმი განაცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ "ნაბუკო" წარმატებული პროექტი იქნება. **"მიხარია, რომ "ნაბუკოს" დაბადებას ვესწრები. თურქეთმა და ევროკავშირმა დღეს არსებულ გამოწვევებს ერთობლივად უპასუხეს. თურქეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ახალი ერა იწყება. "ნაბუკო" დაკავშირებს თურქეთს ევროპასთან და კასპიის რეგიონთან. ბუნებრივი აირი ორთქლდება, მაგრამ "ნაბუკო" საძირკველს უყრის და ამტკიცებს ჩვენს ურთიერთობებს,"** - აღნიშნა ევროკომისიის ხელმძღვანელმა.

ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა აშშ-ს ადმინისტრაციისთვის მთავარი პრიორიტეტია. ამის შესახებ გუშინ ანკარაში ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა განაცხადა. მისი თქმით, ერთი წლის წინათ, როდესაც იგი თავად კურირებდა "ნაბუკოს" პროექტის დაწყებას,

ყველას ეჭვი ეპარებოდა, რომ ამ პროექტს როდესმე ხელი მოენერებოდა. **"ენერგოუსაფრთხოება ყველა ქვეყნისთვის გულია და ეს არის ყველა ერის უსაფრთხოება. ზოგიერთი ქვეყანა მეზობლების საზიანო ენერგოპოლიტიკას ირჩევს,"** - განაცხადა ლუგარმა.

მისი თქმით, აღნიშნულ პროექტში მონაწილე ქვეყნები უკვე ერთიანი ენერგოპოლიტიკით გაერთიანდნენ. **"ევროკავშირმა და ნატო-მ უნდა უზრუნველყონ ამ პროექტის უსაფრთხოება. საჭიროა თანამშრომლობა, თუნდაც ძალიან რთული იყოს ეს,"** - აღნიშნა ლუგარმა.

მისი თქმით, "ნაბუკო" წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკის დემონსტრირებას და სიგნალს მსოფლიოსთვის, რომ ენერგოუსაფრთხოებას მხოლოდ კონფლიქტი და ომი არ მოაქვს. **"ამის დამტკიცება შეძლეს საქართველომ, თურქეთმა და აზერბაიჯანმა,"** - განაცხადა ლუგარმა.

"ნაბუკოს" პროექტის ოფიციალურად დაწყებას გამოხმაურება გუშინ თბილისშიც მოჰყვა. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილის განცხადებით, ევროპამ კარგად დაინახა, რომ რუსეთი საკუთარ ენერგორესურსებს პოლიტიკურ იარაღად, არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებზე ზეწოლისთვის, არამედ ევროკავშირის შანტაჟისთვისაც იყენებს. **"ეს ძალიან მკაფიო გახდა რუსეთ-უკრაინის "გაზის ომის" დროს, როცა მოსკოვმა შუამავთარში ბულგარეთი პრაქტიკულად გაყინა. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია როგორც სტრანზიტო ქვეყნების, ისე მიმწოდებელთა დივერსიფიკაციის მოხდენა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ "ნაბუკოს" პროექტს ენიჭება,"** - აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

რეინტეგრაციის საკითხებში

სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებით, "ნაბუკოს" პროექტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობას.

"ეს პროექტი, ფაქტობრივად, მივნიჭებული იყო, მაგრამ რუსეთმა გაზის ხშირი გადაკეტვით ყველაფერი გააკეთა მის გასაცოცხლებლად," - აღნიშნა თემურ იაკობაშვილმა. მისივე შეფასებით, "ნაბუკოს" პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ენერგოდივერსიფიკაციას და კასპიის ქვეყნების დამოუკიდებლობას.

როგორც ქართული ტელეარხებისთვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა ექსპერტმა ვილამიერ სოკორმა განაცხადა, რუსეთი "ნაბუკოს" პროექტის ჩაშლას ყველა ხერხით ცდილობდა, მათ შორის ევროპელი ოფიციალური პირების, არასამთავრობო სექტორისა და კომპანიების მოსყიდვის გზით, რათა მათ დაემტკიცებინათ, რომ "ნაბუკო" არ არის მომგებიანი. რუსეთმა თურქეთზე გავლენის მოხდენაც სცადა, რათა პროექტს პრობლემები შექმნოდა, ასევე შეეცადა თურქმენეთის გადაბირებას. სოკორის აზრით, გასული წლის აგვისტოში სამხედრო მოქმედებებით რუსეთი ცდილობდა, საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ საქართველო საიმედო პარტნიორი ვერ იქნებოდა. თუმცა, მისი თქმით, მოსკოვის ყველა ეს მცდელობა ჩაიშალა.

სოკორის შეფასებით, გუშინ ხელმოწერილი შეთანხმება **"განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინაიდან ამით ქვეყანა ევროპას ყველაზე მეტად დაუხლოვდა."** შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ პროექტის მონაწილეები გაზსადენის შევსებაზე განაცხადების მიღებას დაიწყებენ. პროექტის შესახებ საინფორმაციო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, 2010 წლის პირველ კვარტალში იქნება მიღებული.

პირველი შეხვედრა ომის შემდეგ

ინციდენტების პრევენციისთვის მოლაპარაკება გალში გაიმართება

დღეს არის შესაძლებლობა, რომ ჟენევის ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე მიღწეული შეთანხმება რეალურ ქმედებებში გადაიზარდოს. თებერვალში შეთანხმებული ფორმატის მიხედვით, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შემუშავების საკითხებზე მოლაპარაკებები გალში გაიმართება. მასში, ქართულ მხარესთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ აფხაზური მხარის, გაეროს-ს, ევროკავშირის და რუსეთის წარმომადგენლები. შეხვედრა არ არის პოლიტიკური ფორმატის და მისი ძირითადი დატვირთვა ოკუპირებული ზონის სასაზღვრო ტერიტორიაზე დაძაბულობის მოხსნაა.

დათო გაიხსონია

"ეს არ არის პოლიტიკური შეხვედრა და ამიტომ, ჟენევის მოლაპარაკებების თანახმად, შეხვედრაში ყოველგვარი სტატუსის გარეშე მიიღებენ მონაწილეობას იმ ხელისუფლებების წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე იქნებიან, კერძოდ, თითოეულ მხარეს შეუძლია ის მიიყვანოს შეხვედრაზე, ვისაც საჭიროდ მიიჩნევს. რაც შეეხება შეხვედრის მონაწილეებს, ქართული დელეგაციის ზუსტი სია ჯერჯერობით არ არის საჯარო," - განუმარტა "24 საათს" შს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიასვილმა. იგი ქართული მხარის ერთ-ერთი წარმომადგენელია ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებში. ჟენევაში

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სპეციალური ჯგუფების საქმიანობაში შედის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარი ინციდენტების გამოძიება და შესწავლა; პროვოკაციული ინციდენტების შემთხვევაში, დაძაბულობის კერებში ერთობლივი ვიზიტები. თუმცა, იმის გამო, რომ დღევანდელი შეხვედრა პირველია, უტიასვილის ინფორმაციით, გალში გამართულ მოლაპარაკებებზე ამჯერად მხოლოდ საპროცედურო საკითხები განიხილება. "24 საათთან" საუბარში სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე შეხვედრაზე ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მიდის. ეს შეხვედრა იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ქართულ მხარეს პირველად ეძლევა შესაძლებ-

ლობა, აფხაზეთის ტერიტორიაზე სოხუმის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჰქონდეს ურთიერთობა. **"მივდივართ იმისთვის, რომ დავილაპარაკოთ და რადგან პირველი შეხვედრაა, დიდი მოლოდინები არ უნდა გვექონდეს. დანარჩენი კი შეხვედრის შემდეგ გამოჩნდება,"** - განმარტა სახელმწიფო მინისტრმა. იაკობაშვილის აზრით, მთავარია, ქართულ მხარეს ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც ადგილზე პროვოკაციებს შეამცირებს. გალში კი ყველა ასეთი საკითხის შესახებ საუბროს შესაძლებლობა იქნება. ეს არ არის პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტი ფორმატი, არამედ უფრო უსაფრთხოების თემებს ეხება. მინისტრს ამ პროცესის ამუშავების იმედი აქვს. გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ ჭებურხინჯის შეხვედრებისგან განსხვავებით, ჟენევის ფორმატით გამართული მოლაპარაკებები პროდუქტიული იქნება. **"ჩვენ მივდივართ ჭებურხინჯში რუსულ ზნაზე, იქ მოლაპარაკებებს რუსი გენერალი ხელმძღვანელობდა. ქართველებს და აფხაზებს, როგორც პატარა ბიჭებს, დავუბარებდა, დაგვტუქსავდნენ, ხოლო გაერო ამ ყველაფერს დააკვირდებოდა და წამოვიდოდით უკან,"** - განაცხადა თე-

მურ იაკობაშვილმა. მან ჟენევის ფორმატში გამართული შეხვედრის უპირატესობაზე ისაუბრა. **"მთავარია, რომ ეს არ არის ჭებურხინჯის ფორმატი, ამ შემთხვევაში რუსეთი წარმოდგენილია, როგორც ოკუპანტი მხარე, ხოლო შეხვედრა იმართება ეუთო-ს, გაერო-ს და ევროკავშირის ვეგით. ამ პროცესებს ბატონი პიერ მორელი ხელმძღვანელობს და ვფიქრობ, რომ დღესდღეობით ყველაფერი სხვაგვარად არის,"** - მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრი. ჟენევის ფორმატში მიღებული შეთანხმების გრძელვადიანი მიზნებისთვის გამოყენება აუცილებელ პირობად მიაჩნია "კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ფონდის" დირექტორ დავით აფრასიძეს. მან "24 საათს" განუმარტა, რომ **"გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკებები გალში გამართული შეხვედრის შემდეგ, ძალიან სასპეკულაციო თემაა, რადგან მასზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. მაგრამ ცხადია, ეს ფორმატი ქართული მხრიდან არ უნდა ჩაიშალოს, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ის დიდ არაფერს გააძლევს. შესაძლოა, რადიკალური შეხვედრა აგრესიის შემთხვევაში იქნება,"**

ვიზიტის სამზადისი

15 ივლისს თბილისს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტის მოსამზადებლად ამერიკელი ექსპერტების ჯგუფი ესტუმრება. საქართველოში აშშ-ს ელჩ ჯონ ტეფტის განცხადებით, "ექსპერტები თბილისს 2 დღის შემდეგ ესტუმრებიან და ჯო ბაიდენის ვიზიტის დეტალებს დააზუსტებენ."

"სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დადგინდება აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჩამოსვლის ზუსტი თარიღი და დაგეგმილი შეხვედრის თემები. ჯოზეფ ბაიდენი საქართველოს მომავალ კვირას ეწვევა," - განაცხადა ტეფტმა. **პირველი**

ოპოზიცია რუსთაველის გამზირიდან საკნებს აიღებს

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი, მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ ოპოზიცია რუსთაველის გამზირიდან საკნებს უახლოეს დღეებში აიღებს.

კაციტაძის განცხადებით, თავის დროზე საკნებს და ამ ტიპის ბრძოლის ფორმას სერიოზული დატვირთვა ჰქონდა და მიმდინარე პროცესებზე ამან სერიოზული გავლენა მოახდინა, მაგრამ ოპოზიციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი ბრძოლა სხვა ფორმით განაგრძოს.

"ოპოზიციამ მიიღო საკნების აღების გადაწყვეტილება. დასაზუსტებელია მხოლოდ დეტალები, თუ როდის განხორციელდება ეს ტექნიკურად. ვფიქრობთ, რომ საკნებს თავის დროზე და ამ ბრძოლის ფორმას სერიოზული დატვირთვა ჰქონდა და მიმდინარე პროცესებზე ამან სერიოზული გავლენა მოახდინა, მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს არის ბრძოლის ერთადერთი გზა, არასწორია და ჩვენ გადაწყვეტით, მომავალი ბრძოლა სხვა ფორმით განვაგრძოთ. ბრძოლა რომ აუცილებლად გაგრძელდება, ამაში ეჭვიც არ გვებარება, თუმცა რა ფორმით გაგრძელდება, ეს ყველაფერი ტაქტიკის საკითხია. სტრატეგიული საკითხია ისიც, რომ ჩვენ არ ვხსნით დღის წესრიგიდან მთავარ მოთხოვნას არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შესახებ," - განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

კაციტაძის თქმით, ოპოზიცია შემოდგომაზე ხელი-სუფლების წინააღმდეგ ბრძოლას გაცხადებს დიდი მასშტაბებით გეგმავს.

"ზაფხულს თავისი თავისებურებები აქვს და ამის გამო მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გვინდა, რომ ეს ყველაფერი შემოდგომიდან სხვა მასშტაბებით და ფორმებით განვითარდეს. ეს იყო საკნების აღების გადაწყვეტილების მიღების მიზეზი," - აღნიშნა კაციტაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

პარტიები დავიანებულ დაფინანსებას უახლოეს დღეებში მიიღებენ

პოლიტიკური პარტიები დავიანებულ დაფინანსებას უახლოეს დღეებში მიიღებენ, - ამის შესახებ განაცხადებდა ბიუროს დღევანდელ სხდომაზე კაკეთა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, პარტიებისთვის დაფინანსების დროული გადარიცხვა შეაფერხა იმ ფაქტორმა, რომ პარლამენტი მიმდინარე აქციების გამო სრულფასოვან მუშაობას ვერ ასრულებდა და შესაბამისად, ვერ მოხერხდა ბიუჯეტთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება.

ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროექტის დამტკიცების შემდეგ, პარტიების დაფინანსებისთვის თანხის გადარიცხვის პრობლემა აღარ არსებობს, - განაცხადა ბაქრაძემ, - უახლოეს დღეებში ყველა ის პარტია, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, მიიღებს როგორც დავალიანებას, ასევე მიმდინარე დაფინანსებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

ამერიკის მთავრობის დახმარება

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე აშშ-ს საელჩოს სტუმრობდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გარემოს დაცვის სამინისტროს საჩუქრად გადასცა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურისთვის სპეციალური აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები. აშშ-ს სავაგებო და სრულფუნქციონარმა ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძეს საჩუქრები პირადად გადასცა.

აღჭურვილობა მოიცავს რადიოაქტიური გამოსხივების აღმოჩენისა და ანალიზის თანამედროვე სავიდეო საშუალებებს, სანავიგაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობებს. აღჭურვილობის ნაწილი განკუთვნილია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის ახალი საოპერაციო ბაზისთვის, რომლის დასრულებაც, ასევე აშშ მთავრობის მხარდაჭერით, უახლოეს მომავალში დასავლეთ საქართველოშია (ფოთი) დაგეგმილი.

ამერიკის მთავრობის დახმარების შედეგად გაუმჯობესდა ბირთვული და რადიოაქტიურ ნივთიერებათა უკონტროლო მიმოქცევის კონტროლი, უპატრონო რადიოაქტიურ ნივთიერებათა მოძიება, ტრანსპორტირება და განთავსება. მთავრობებს შორის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. **ინტერპრესნიუსი**

აფხაზეთის ირანელები სტუმრობენ

სეპარატისტულ აფხაზეთის ირანის დელეგაცია სტუმრობს. აფხაზური მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ირანის დელეგაციის შემადგენლობაში კავკასიის საკითხებში ექსპერტებიც არიან. ვიზიტი ვაცნობითი ხასიათისაა.

აფხაზური მედია ასევე იუწყება, რომ თავად ირანის დელეგაციის წარმომადგენელთა თხოვნით, მათმა შეხვედრებმა აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლებასთან ჟურნალისტების გარეშე ჩაიარა. ირანის დელეგაციის წევრები გეგმავენ რინის ტბის, გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის და სოხუმის ღირსშესანიშნაობების მონახულებას.

ირანის დელეგაცია აფხაზეთს 14 ივლისს დატოვებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

44 წლის განმავლობაში, იაპონიის მმართველი კოალიცია არჩევნებში პირველად დამარცხდა

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტარო ასო მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნისა და საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესახებ, რომელიც 30 აგვისტოსთვის დაინიშნა. იაპონიის მმართველი "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" გადაწყვეტილებით, ქვედა პალატა 21 ივლისიდან იქნება დათხოვილი. იაპონიის მმართველმა კოალიციამ "ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ" და პარტია "კომეიტომ" პირველად 44 წლის განმავლობაში ვერ შეძლეს უმრავლესობის მოპოვება ტოკიოს საკანონმდებლო სათათბიროს არჩევნებში. ოპოზიციის მიერ მიღწეული გამარჯვების შედეგად დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა "დემოკრატიულმა პარტიამ" მოიპოვა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი დარტყმა მმართველი კოალიციისთვის, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. უნდა აღინიშნოს, რომ ტარო ასოს მოსახლეობის საკმაოდ დაბალი მხარდაჭერა აქვს, რის მიზეზადაც მმართველი კოალიციის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა სახელდება. "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობს ქვეყანას. მხოლოდ ერთხელ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მან ერთი წლით დაკარგა ხელისუფლება. ამჟამად ქვეყნის პარლამენტში 480 ადგილიდან "ლიბერალ-დემოკრატიულმა პარტიამ" 303 ადგილს ფლობს. "დემოკრატიულ პარტიას" კი 112 მანდატი გააჩნია. ამის მიუხედავად, "დემოკრატიულ პარტიას" გადაწყვეტილი აქვს, მომავალ არჩევნებში ქვედა პალატაში უმრავლესობით მოსახლეობას იბრძოლოს. წარმატების შემთხვევაში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტს პარტიის ლიდერი, 62 წლის იუკიუ ხატოიამა დაიკავებს. **ჯი-ეიჩი-ენი**

გაერო-ს გენმდივანმა რაფიკ ჰარირის საქმეზე სპეცტრიბუნალის ახალი რეგისტრაციორი დანიშნა

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ლიბანის საკითხზე სპეცტრიბუნალის ახალ რეგისტრაციორად ამერიკელი დევიდ ტოლბერტი დანიშნა, რომელსაც იუგოსლავიის დოსიეზე მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია. სპეცტრიბუნალის ოფიციალურ წარმომადგენელ სიუზან ჰანის განცხადებით, ეს არის მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯი სასამართლო ორგანოს ფუნქციონირების პროგრესის მისაღწევად, რომელიც ლიბანის ექს-პრემიერ რაფიკ ჰარირის მკვლელობას იძიებს. ტოლბერტი ბრიტანელ მოსამართლეს რობინ ვინსენტს შეცვლის, რომელიც რეგისტრაციორის თანამდებობიდან მარტის თვეში გადადგა. ტოლბერტის მთავარი ამოცანა უახლოესი პერიოდის განმავლობაში იმ 90 მოწმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება, რომლებიც ტრიბუნალის წინაშე უნდა წარდგინდეს. პირველი საჯარო სასამართლო სხდომა რაფიკ ჰარირის საქმეზე 2010 წლის იანვარში შააგაში გაიმართება. ანალიტიკოსები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ბრიტანელი მოსამართლის რობინ ვინსენტის შემდგომ "თამაშიდან გავიდა" სპეცტრიბუნალის პროკურორი, კანადელი დანიელ ბელმარი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საკვლევად სრულიად მოულოდნელად სამშობლოში გაემგზავრა. მან თავისი უფლებამოსილება ავსტრალიელ გამომძიებელ მიკ კალდასს გადასცა. ლიბანის პრემიერ-მინისტრი რაფიკ ჰარირი 2005 წლის 14 სექტემბრის ტერაქტს ემსხვერპლა. მასთან ერთად 22 ადამიანი დაიღუპა - თანამშემწეები და პირადი დაცვის წევრები. გამორჩენილი ლებანელი პოლიტიკოსი ჰარირი ისტორიაში შევიდა როგორც ადამიანი, რომელმაც მრავალწლიანი სამოქალაქო ომის შემდგომ "ახლო აღმოსავლეთის შევიცარია" აღორძინა. მას ლიბანური ეკონომიკური საოცრების არქიტექტორს უწოდებენ. **ჯი-ეიჩი-ენი**

ერაყში, აშშ-ს ელჩის ავტოკოლონის მოძრაობისას, აფეთქება მოხდა

ერაყში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ ავტოკოლონის მოძრაობისას აფეთქდა, რომელშიც ერაყში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კრისტოფერ ჰილი იმყოფებოდა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ჯონ მურმას განცხადებით, ინციდენტის შედეგად არც ერთი ამერიკელი არ დაზარალდა. მისი თქმით, ინციდენტი პროვინცია დი-კარში, ერაყის სამხრეთით მოხდა. დანებებული გამოძიება. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ჰილი ენ-ნასარიდან ბრუნდებოდა, სადაც მან შეხვედრები გამართა ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებთან და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ერაყის ალგენაზე მუშაობენ. ერაყში აშშ-ს სამხედრო სარდლობის წარმომადგენელ მაიკლ კეგინის განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა დიდი სიმძლავრის არ იყო. მისივე თქმით, უცნობია, ეს წარმომადგენელ ნინასწარ დაგეგმილ თავდასხმას ელჩზე თუ საუბარია დამთხვევაზე. როგორც ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობა აღნიშნავს, ერაყში ამერიკელი სამხედროების მთავარ საფრთხედ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა რჩება. **ჯი-ეიჩი-ენი**

დიკ ჩეინი კონგრესს ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს გაგზავნა უმაღლავდა

მარიკა იაპონილი

ამერიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს ხელმძღვანელობას პირდაპირ მითითებებს აძლევდა იმის თაობაზე, რომ უწყების სადაზვერვო პროგრამის დეტალები კონგრესის დეპუტატებისთვის დაემაღლა, - ამის შესახებ ინფორმაციას ამერიკული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ავრცელებენ.

თავად პროგრამის არსებობა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ შეიქმნა, რვა წლის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო და მის შესახებ ბევრი რამ დღემდე ბნელით მოცული რჩება.

ცნობილი გახდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს ახალმა ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ პროგრამის მოქმედება ერთი თვის წინ შეაჩერა - მაშინვე, როგორც კი მისი არსებობა შესახებ შეიტყო.

ამერიკის ადმინისტრაციის წევრ მაღალჩინოსან წყაროს ცნობით, რომლის სახელიც არ ხმაურდება, პანეტამ კონგრესის შესაბამის კომიტეტს შეატყობინა, რომ ინფორმაცია უშუალოდ ჩეინიმ გასაიდუმლდა.

თავად ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ამის შესახებ არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია.

გასაიდუმლოებულ პროგრამაში დიკ ჩეინის უშუალო მონაწილეობის შესახებ ინფორმაციამ CIA-სა და ამერიკელ კანონმდებლებს შორის სულ უფრო მზარდი უთანხობის ფონზე გაჟონა, რომელიც სამართველოს მუშაობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის გახმაურების გამო წარმოიშვა.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა ნენსი პელოსმა განაცხადა, რომ CIA-ს ხელმძღვანელობა ამერიკელ კანონმდებლებს დაკითხვის მეთოდების, მათ შორის, დახრწობის იმიტიაციის შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდიდა. "დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელი კიდევ ერთი მაღალჩინოსანი კი ლეონ პანეტაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ CIA-ს



ამერიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი

ყოფილ ხელმძღვანელობას კონგრესის დეპუტატები შეცდომაში მუდმივად შეჰყავდა. აღმოჩენილი საიდუმლო პროგრამის დეტალები ჯერ კიდევ არ ხმაურდება, თუმცა, როგორც ამერიკის ადმინისტრაციის წევრი ანონიმური წყაროები აცხადებენ, პროგრამას არავითარი კავშირი არ აქვს ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროინდელ ორ მთავარ სკანდალთან - დაკითხვის მეთოდებსა და სატელეფონო საუბრების მოსმენასთან.

გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმსი" წერს, რომ CIA-ს ანტიტერორისტულმა ქვედანაყოფმა აღნიშნული პროგრამა 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტების შემდეგ მალევე ამოშავა და ოპერაციების დაგეგმვასა და პერსონალის მომზადებას ითვალისწინებდა, თუმცა სრულად მაინც არ ამოქმედებულა.

რამდენიმე ამერიკული მასობრივი საინფორმაციო საშუალება ერთდროულად აცხადებს, რომ დიკ ჩეინიმ CIA-ს ხელმძღვანელობას პირადად მისცა პროგრამის არსებობის საიდუმლოდ შენახვის ინსტრუქცია.

CIA-ს ახალი ხელმძღვანელი, რომელმაც ეს პოსტი ქვეყნის სათავეში ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ დაიკავა, აცხადებს, რომ პროგრამის არსებობის შესახებ მხოლოდ 23 ივნისს შეიტყო.

მეორე დღესვე მან კონგრესის შესაბამისი კომიტეტები საგანგებო სხდომაზე მიიწვია და პროგრამის არსებობისა და მისი მოქმედების შესახებ ინფორმაცია მიანოდა.

აშშ-ს "დემოკრატიული პარტიის" წევრების თქმით, თუ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი CIA-ს ანტიტერორისტული პროგრამის არსებობას კონგრესს მართლა უმაღლავდა, შესაძლოა საქმე სერიოზულ კანონდარღვევას ეხებოდეს.

საკანონმდებლო ორგანოს საგამოძიებო კომიტეტის მეთაურ დიან ფინსტინს მიაჩნია, რომ კონგრესისთვის რაიმე სახის ინფორმაციის დამალვა დაუშვებელია.

ამ დროისთვის კონგრესის "დემოკრატი" წევრები ლობირებენ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც უნდა გაიზარდოს იმ დეპუტატთა რაოდენობა, ვისთვისაც გასაიდუმლოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება.

თუმცა, კანონის მიღების შემთხვევაში, თეთრი სახლი ვეტოს დადებით იმუქრება, რადგან მისმა ამოქმედებამ შესაძლოა საიდუმლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებას საფრთხე შეუქმნას.

თავად სადაზვერვო სამართველოში უარს აცხადებენ საიდუმლო პროგრამის ისტორიაში დიკ ჩეინის როლის შესახებ კომენტარის გაკეთებაზე.

"სამმართველოს წესებში არ შედის იმის განხილვა, რაც დახურული სხდომების დროს ითქვა ან არ ითქვა," - განაცხადა CIA-ს წარმომადგენელმა პოლ ჯიმილანომ.

"როდესაც ამ საკითხის შესახებ დირექტორ პანეტის აცხადებს, მას ურჩიეს, რომ ინფორმაცია კონგრესისთვის მიწოდებინა. ის ამ რჩევას დაეთანხმა და მისი რეალიზებისთვის ოპერატიული და გადაწყვეტი ნაბიჯები გადადგა," - დაამატა CIA-ს წარმომადგენელმა.

ცოტა ხნის წინ, CIA-ს კიდევ ერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ უწყებას "კონგრესის შეცდომაში შეყვანის პრაქტიკა არ ჰქონია."

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

 <p>Tucson</p> <p>17 550</p>	 <p>Santa Fe</p> <p>24 500</p>	 <p>Sonata</p> <p>19 400</p>	 <p>HYUNDAI i30</p> <p>15 200</p>
 <p>www.hyundai.ge</p>			

Drive your way

51 77 99

ვაკის საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი
გთავაზობთ
საზაფხულო აქციას
1 ივლისიდან



**მხოლოდ ერთი თვე
 სამაჯური დეპოზიტის გარეშე!**
**ONLY ONE MONTH
 BRASLET WITHOUT DEPOSIT**



ტელ: 25 25 75
ი. ჭავჭავაძის გამზირი №49ა

**პაციენტების
 საყურადღებოდ!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
 ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

**დავით ტატიშვილის
 სამედიცინო ცენტრის
 მანუალური თერაპიის
 და სამკურნალო
 მასაჟის სპეციალისტი
 ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
 თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
 ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ახალი ფასები!
ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაართეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!



ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

რამაზ მუმლაძე: "მიზანი მარიბორის გავლა"

"ვიტ ჯორჯია" ლიგის წინ

მიხეილ აბიშვილი

ხვალ საქართველოს ჩემპიონი თბილისის "ვიტ ჯორჯია" თავის მეორე საჩემპიონთალიგო კამპანიაში ჩაებმება. ამ ტურნირში ვეტერინარები ექვსი წლის წინ ჩაებნენ. მაშინ, პირველი ეტაპის იოლად დაძლევის შემდეგ, "ვიტ ჯორჯია" პოლონეთის ჩემპიონთან, კრაკოვის "ვისლასთან" ორი მატჩის ჯამში დიდი ანგარიშით დამარცხდა. იმავე წელს "ვისლამ", ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხების შემდეგ, უფას თასის ტურნირში გადაინაცვლა, სადაც თბილისის "დინამოს" შეხვდა. იმდროინდელმა "დინამომ", რომელსაც გიორგი გეგუაძე (ამჟამად "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი) ედგა სათავეში, ეს პოლონური კლუბი გათამაშებას გამოითიშა და უფას თასის ჯგუფში მოხვდა.

"ვიტ ჯორჯიას" მეტოქე პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვენის ჩემპიონი "მარიბორია". ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელსაც ხვალ მიხეილ მესლას სახელობის სტადიონი უმასპინძლებს, 20 საათზე დაინგება.

საქართველოს ჩემპიონი ახალი სეზონისთვის ტრადიციულად უკრაინაში მოემზადა. გუნდი ორი კვირით იყო ყირიმში, ქალაქ კრიმტუპლიცას სპორტულ ბაზაზე და ხუთი სპარინგმატჩი ჩაატარა ადგილობრივ კლუბებთან. რამაზ მუმლაძის გუნდმა კრივიო როგის "კრივასთან" მატჩი ფრედ - 0:0 დაასრულა, შემდეგ 2:0 დაამარცხა ხარკოვის "ჰელიოსი", სიმფეროპოლის "ტავრიასთან" მინიმალური სხვაობით - 2:3 დათმო მატჩი. ასევე დამარცხდა ილიჩევსკის "სტალთან" 1:4 (ამ შეხვედრაში "ვიტ ჯორჯიას" დუბლშემადგენლობამ ითამაშა) და დასკვნით თამაშში 4:1 მოუგო მასპინძელ "კრიმტუპლიცას". ეს ტესტმატჩები ორჯერადი ვარჯიშებით განიხილეს მძიმე ფიზიკური დატვირთვების ფონზე მიმდინარეობდა. "ვიტ ჯორჯია" ორი დღის წინ დაბრუნდა თბილისში და "მარიბორთან" დაპირისპირებისთვის მზადების გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გენერალსანწვრთნელ შერეკასთან, მოახლოებულ მატჩთან და მეტოქესთან დაკავშირებით "24 საათის" შეკითხვებს პასუხობს "ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძე.

- რამდენად კმაყოფილი



ხართ უკრაინაში ჩატარებული სანვრთნელი შეკრებები?

- უკვე მეხუთე წელია ყირიმში გავდივართ შეკრებას, რაც იმას ნიშნავს, რომ კმაყოფილი ვართ იქაური სავარჯიშო პირობებით. კარგი სანვრთნელი ბაზა, საუცხოო მოედნები, სრული სპორტული ინფრასტრუქტურა და სპარინგმატჩები იმის საშუალებას იძლევა, რომ შეკრებამ ნაყოფიერად ჩაიაროს და გუნდი ფიზიკურ-ფუნქციონალურად კარგად მოემზადოს. გამონაკლისი არც წლებიდანელი შეკრება იყო.

- წელს ხუთი სპარინგმატჩი ჩაატარეთ. აქედან ორში გაიმარჯვეთ, ორი ნააგეთ და ერთი ფრედ დაამთავრეთ. კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?

- ამ სპარინგმატჩებში შედეგს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით. ჩვენი მთავარი მიზანი იყო გუნდის შეთამაშება, სათამაშო რეგულბს შორის ურთიერთგაგების მაღალ ხარისხამდე აყვანა, მათი მოქმედების სინქრონიზაცია. თუმცა, არც შედეგს ვთვლიდით მეთაბხარის ხოვანად. ძირითად შემადგენლო-

ბას ამ შეკრებაზე თამაში არ წავუგია. "სტალთან" "ვიტ ჯორჯიას" დუბლშემადგენლობას მივეცი თავის გამოჩენის საშუალება, "ტავრიასთან" კი დავმარცხდი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი ძირითადი შემადგენლობა გამოეცვალა და თამაში სათადარიგოები ჩაერთო.

- ვიტ ჯორჯიამ თითქმის შეინარჩუნა საჩემპიონო შემადგენლობა. არავინ გაგიშვიათ, თუმცა, გაძლიერების თვალსაზრისითაც დიდად არ გაიქტიურიათ. მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაიმატეთ - ყოფილი ლოკომოტიველი კახელიშვილი. მან ყველა სპარინგმატჩში ძირითად შემადგენლობასთან ერთად მიიღო მონაწილეობა და ბოლო თამაშში გოლიც გაიტანა. რამდენად შეეწყო ის გუნდს და თუ უძლებს "ვიტ ჯორჯიას" არსებულ მაღალ კონკურენციას?

